



პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების  
უფლების მიმნიჭებელი საბჭოს

გადაწყვეტილება № 09

2019 წ. “ 24 “ 12

ქ. თბილისი

შპს ტრანსკავკასიის ენერჯისთვის პროფესიული გადამზადების პროგრამის  
განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ

დაწესებულების მიერ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტების დასკვნისა და პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის N131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ტრანსკავკასიის ენერჯის (ს/კ: 206328758) უარი ეთქვას პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე.
2. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2019 წლის 24 დეკემბრის №3 სხდომის ოქმის მესამე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს სხდომის დღიდან.
4. პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

საბჭოს თავმჯდომარე  
მარიამ ქუჭულორია

მდივანი  
მარიკა ზაქარეიშვილი